# საქართველო
# სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 39/04

„ 20 " 02 2013

საქართველოს მთავრობის კანცელარია

„პარტნიორობა ღია მმართველობისათვის" საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციების თაობაზე (წერილი 15/02/2013 N5385) გაცნობებთ შემდეგს:

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, როგორც საჯარო ფინანსების სფეროში ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმჯობესების მხარდამჭერი პროცესების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, მიესალმება საჯარო ადმინისტრაციის ღიაობისა და გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლებისკენ მიმართულ ინიციატივებს და ადასტურებს მზადყოფნას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოიყენოს ეფექტიანი და თანამედროვე ინსტრუმენტები, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობას საჯარო სახსრების ადმინისტრირებაში.

ამ მიმართულებით დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელია ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, რაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სწორ სტრატეგიულ დაგეგმვასა და ადეკვატური სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, რომელიც კონკრეტული და მიზანმიმართული ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას უნდა უზრუნველყოფდეს. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ OGP-ს საქართველოს სამოქმედო გეგმაზე შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაკონკრეტდეს, თუ რა ვალდებულებების შესრულებაა მოაზრებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობის ნაწილში - სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და ხარჯვის გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიმართულებით. როგორც მოგეხსენებათ, ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვის კუთხით, საჯარო ფინანსების სისტემის რეფორმირების პროცესში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აქტივობა განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 14 სექტემბრის N735 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით, რომლის შესაბამისად

6267
21 02 3
2


ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164
თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. N96 ტელ: (+99532)2438438 ფაქსი: (+99532)2438136
ბათუმი, 6000, შერიფ ხიმშიაშვილის ქ.N7 , იუსტიციის სახლი ტელ: (+99532)2438197 ფაქსი: (+99532)2438195

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიშებისა და საქმიანობის შედეგების ფართო საზოგადოებისათვის გაუმჯობესებული კომუნიკაციის ინსტრუმენტების იმპლემენტაციას.

ამდენად, საზოგადოების სასიკეთოთ ჩვენი მანდატის შესაბამისი პროფესიული და ორგანიზაციული შესაძლებლობების ეფექტიანი რეალიზაციისა და პროდუქტიული საქმიანობისთვის, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, წარმოდგენილი რეკომენდაციების IV ნაწილთან დაკავშირებით, მკაფიოდ განისაზღვროს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს უწყებრივი ვალდებულებები. კერძოდ, რეკომენდირებული ღონისძიებების მიხედვით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვალდებულება უნდა მოიცავდეს მე-3 მიმართულებას, რომელიც აუდიტორული საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას შეეხება. ამასთან, საინტერესოა, საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის თვალსაზრისით არსობრივად რა ღირებულებას ქმნის აუდიტის შედეგების შესახებ ინფორმაციის განთავსება **კონკრეტულად ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე**, ვინაიდან ამ სახის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს სახელმწიფო აუდიტის სამსახური, მათ შორის, მისი გამოქვეყნებით **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე**. აქედან გამომდინარე, საჭიროა აღნიშნული ვალდებულების შინაარსის ნათელყოფა - კონკრეტულად რა მოიაზრება რეკომენდირებულ ღონისძიებაში და კომუნიკაციის რა მექანიზმზეა საუბარი, რომლის შესრულებაზე **პასუხისმგებელ ორგანოდ** სახელმწიფო აუდიტის სამსახური განისაზღვრება.

შოთა თარხნიშვილი

გენერალური აუდიტორის პირველი მოადგილე